СОСТАВЫ КОМАНД НА 31 МАРТА

## „СПАРТАК“ (Москва)

Старший тренер—Н. Гуляев.
Капитан—И. Нетто.

1
В. Ивакин

2 Н. Тищенко — 3 А. Масленкин — 4 М. Огонков

5 А. Парамонов — 6 И. Нетто

А. Исаев — Н. Паршин

7 Б. Татушин — 8 — 9 Н. Симонян — 10 — 11 С. Сальников

А. Чкуасели — Хомасидзе. З. Калоев — Б. Хасая

11 — 10 — 9 — 8 — 7

А. Гогоберидзе — К. Гагнидзе

В. Рамишвили — А. Котрикадзе

6 — 5

Г. Хочолава — Н. Дзяпшипа — В. Элошвили

4 — 3 — 2

В. Маргания
1

Капитан—А. Гогоберидзе.
Старший тренер—Г. Джеджелава.

## „ДИНАМО“ (Тбилиси)

О возможных изменениях в составах команд слушайте по радио.

ფასი 50 კაპ. — Цена 50 коп.

Зак. 344. Тираж 10.000. УЭ 00484.

Стадион



# «ДИНАМО»

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

31 მარტი МАРТА

# Футбол

ТБИЛИСИ • 1957 •

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)

„ДИНАМО“ (Тбилиси) — „СПАРТАК“ (Москва)

თამაშის დასაწყისი
Начало игры в 17.00



სსრ კავშირის პირველობა („ა“ კლასი)
Первенство СССР (класс „А“)

## XIX ჩემპიონატის დებულებიდან

31 მარტი დიდი სპორტული კვირადღეა. იწყება ერთ-ერთი მასობრივი და ტრადიციული ასპარეზობა ფეხბურთში—ჩვენი ქვეყნის 1957 წლის პირველობის გათამაშება „ა“ და „ბ“ კლასის გუნდებისათვის.

პირველობისათვის მებრძოლთა კოლექტივებმა შეკრება შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე გაიარეს, მოაწყეს საკონტროლო მატჩები. როგორც ამ შეხვედრებმა ცხადყვეს გუნდების უმრავლესობა ფიზიკურად და ტექნიკურად კარგად არის მომზადებული.

XIX ჩემპიონატის დებულება დიდი ხანია დამტკიცებულია. „ა“ კლასში ერთმანეთს პირველობას შეეცილება ფეხბურთელთა 12 უძლიერესი კოლექტივი. ესენი არიან—„სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (მოსკოვი), ცსკმო (მოსკოვი), „დინამო“ (კიევი), „ტორპედო“ (მოსკოვი), „ბურევესტნიკი“ (კიშინიოვი), „შახტიორი“ (სტალინო), „დინამო“ (თბილისი), „ზენიტი“ (ლენინგრადი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „სპარტაკი“, (მინსკი), „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი).

გათამაშება მოეწყობა წრიული სისტემით ორ წრედ. ქულების ჩათვლის სისტემა უცვლელი რჩება. „ა“ კლასის იმ გუნდს, რომელიც ქულების მეტ რაოდენობას მოაგროვებს მიენიჭება სსრ კავშირის 1957 წლის ჩემპიონის წოდება ფეხბურთში და გადაეცემა გარდამავალი წითელი დროშა. გუნდის მოთამაშეები დაჯილდოებული იქნებიან ოქროს მედლებით, პირველი ხარისხის დიპლომით და ჩემპიონის მაისურებით.

„ა“ კლასის გუნდების დუბლიორთა შემადგენლობისათვის დაწესებულია საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზი. დუბლიორთა მატჩები გაიმართება ძირითად მოთამაშეთა შეხვედრის წინ იმავე დღეს.

XIX ჩემპიონატის დებულებაში ვხვდებით სიახლეს, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს თამაშის ტექნიკისა და ტაქტიკის შემდგომ ამაღლებას, სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის გაძლიერებას, დისციპლინის განმტკიცებას, [illegible]. წელს, გარდა მეკარისა ნება დართულია შეიცვალოს მოედნის ერთი მოთამაშე.

გუნდი რომელიც „ა“ კლასში უკანასკნელ მე-12 ადგილს დაიკავებს გადაყვანილი იქნება „ბ“ კლასში.

„ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობა მოეწყობა ოთხ ზონად. პირველ ორ ზონაში მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა სასპორტო საზოგადოებათა თვრამეტ-თვრამეტი გუნდი, მესამე ზონაში—ფეხბურთელთა 16 კოლექტივი, მეოთხე ზონაში (შორეულ აღმოსავლეთის)—10 გუნდი.

საქართველოდან „ბ“ კლასის გუნდების შეჯიბრებაში წელს მონაწილეობას მიიღებს 2 გუნდი—თბილისის საოლქო სასპორტო კლუბისა და ქუთაისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივები. ეს გუნდები ჩარიცხულია მესამე ზონაში.

პირველ სამ ზონაში გამარჯვებულ გუნდებისათვის მოეწყობა დასკვნითი შეხვედრები ნეიტრალურ ქალაქში. ამ ასპარეზობაში პირველ ადგილზე გამოსული გუნდი გადაყვანილ იქნება „ბ“-დან „ა“ კლასში.

მეოთხე ზონის (შორეულ აღმოსავლეთის) გუნდები გაითამაშებენ რსფსრ მინისტრთა საბჭოს პრიზს.

## „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი)

ფეხბურთის მოყვარულთათვის ცხარე დღეები დადგა. დღეს თბილისისა და კიშინიოვის სტადიონებზე საზეიმოდ აღმართავენ ალამს, მოედნებზე გამოვლენ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა სახელოვანი კოლექტივები, დაიწყება მძაფრი და მიმზიდველი ბრძოლა „ა“ კლასის გუნდებისათვის. 31 მარტს ბრძოლაში ჩაებმებიან აგრეთვე „ბ“ კლასის გუნდები, შეივსება ჩემპიონატის ცხრილის პირველი უჯრები.

ბუნებრივია საერთო ინტერესს „ა“ კლასის გუნდების შეხვედრები, უძლიერესთა შეუპოვარი ბრძოლები იწვევს. ჩემპიონატს დედაქალაქის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“, კიშინიოვის „ბურევესტნიკი“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდები ხსნიან. ცხადია ამ წყვილთა შორის ყურადღების ცენტრშია ძველ მეტოქეთა—საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონისა და თასის მფლობელის მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდების მატჩი.

ფეხბურთელთა ამ ორი კოლექტივის ბრძოლისუნარიანობა ფართოდ არის ცნობილი არა მარტო საკავშირო ჩემპიონატში, არამედ საერთაშორისო მატჩებში. ჩემპიონთან შეხვედრა ყველა კოლექტივისათვის პასუხსაგები და საპატიო მოვალეობაა. ამიტომ თბილისის დინამოელები სეზონის დასაწყისშივე დიდი გამოცდის წინაშე დგანან.

შემთხვევით როდი ლაპარაკობენ, რომ მოსკოვის „სპარტაკი“ ეს ხომ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდიაო. და მართლაც მელბურნის ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონის სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მეტწილად სპარტაკელები იყვნენ. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ჩვენი ქვეყნის 33 უძლიერეს ფეხბურთელთა შორის ათი სპარტაკელია, მაშინ ცხადი გახდება ამ გუნდის სიდიადე, ტრადიცია, ბრძოლისუნარიანობა.

სპარტაკელთა რიგებში არსებითი ცვლილება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მეკარე ვ. ივაკინს არ მომხდარა. ჩემპიონმა შეკრება გაიარა სოხუმში. აქვე სპარტაკელებმა გამართეს საკონტროლო თამაშები, რომელთა უმრავლესობა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს. ჩემპიონის შემადგენლობაში ყველაზე ძლიერ ხაზად კვლავ თავდამსხმელთა ხუთეული გამოიყურება. კარგ სპორტულ ფორმაშია ნახევარმცველები.

თბილისის „დინამომ“ ახალი სეზონისათვის მზადების მნიშვნელოვანი პერიოდი ბირმასა და ჩინეთში დაჰყო, სადაც მოწონება და სიმპათია დაიმსახურა. დინამოელებს საკავშირო ჩემპიონატში ბრძოლის კარგი გამოცდილება აქვთ. მათი თამაშის სტილი გამოირჩევა თავისებურებით, ტემპიანი ბრძოლით, სიმძაფრით. თბილისის „დინამო“ სსრ კავშირის რვაგზის პრიზიორია.

თუ როგორი იქნება დედაქალაქის „სპარტაკის“ და თბილისის „დინამოს“ დღევანდელი მატჩის შედეგი, ამაზე წინასწარ მსჯელობა ძნელია. აქ მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება—თუ მივიღებთ მხედველობაში ამ გუნდების ბრძოლის ტრადიციას—უნდა მოველოდეთ საინტერესო ასპარეზობას.

დღეს მოსკოვის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“ საკავშირო პირველობაზე 32-ჯერ ხვდებიან ერთმანეთს. გასული შეხვედრებში სპარტაკელებმა გაიმარჯვეს 15-ჯერ, თბილისელებმა—13-ჯერ. 3 მატჩი დამთავრდა ფრედ. ბურთების საერთო შეფარდება შეადგენს 55:35 სპარტაკელთა სასარგებლოდ.